ხელშეკრულება

ქ. გორი 13 ოქტომბერი 2014 წელი

ჩვენ ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება №16 საბავშვო ბაღის დირექტორმა მარინე ჩიხლაძემ, როგორც „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ შპს „არქმშენსტუდია 2002“, დირექტორმა ალექსანდრე მაკრახიძემ შემდგომში, როგორც „შემსრულებელი“ დავდეთ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შპს „არქმშენსტუდია 2002“-ის მიერ №16 საბავშვო ბაღის (ქ. გორი, ირაკლი აბრამიშვილის ქ. №9) რეაბილიტაცია (სამზარეულო, სამრეცხაო, საწყობი, ტუალეტი).

2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებაა 10 000 ლარი.

2.2. დამკვეთი ვალდებულებას იღებს გადაუხადოს შემსრულებელს ავანსი, სამუშაოს ღირებულების 20% ოდენობით.

3. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესრულებული სამუშაოს მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით დამკვეთისა და შემსრულებელის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

3.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილია შპს "არქმშენსტუდია 2002"-ის დირექტორი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „დამკვეთს“ უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 "დამკვეთი" ვალდებულია

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,
- უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება.

4.3. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. ანგარიშსწორების ფორმა, (ვადები), პასუხისმგებლობა

5.1. შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

5.2. თუ დამკვეთი დაარღვევს 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირობას მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

5.3. თუ შემსრულებლის მხრიდან ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის

შეუსრულებლობას, მაშინ პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

5.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს დამკვეთს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

5.2. თუ დამკვეთი დაარღვევს 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირობას მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან და გრძელდება 2 თვე.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მხარეთა იურიდიული მისამართები:

„დამკვეთი“:

№16 საბავშვო ბაღი
ქ. გორი, ირაკლი აბრამიშვილის ქ. №9
სს “ლიბერთი ბანკი”
ა/ა № GE92LB0115150001589000
ბანკის კოდი LBRTGE22
ს/კ 218077998

დირექტორი: მ. ჩიხლაძე

„შემსრულებელი“:

შპს „არქმშენსტუდია 2002“
ქ. გორი, გურამიშვილის ქ. №14
„პროკრედიტ ბანკის“ გორის ფ-ლი
ა/ა GE80PC0143600100018853
ბანკის კოდი MIBGGE22
ს/კ 218020914

დირექტორი: ჯ. მაკრახიძე